# ხელოვნების ისტორია – ART HISTORY

ლალი ოსეფაშვილი

## ჩვილედი ღმრთისმშობლის სახე სვეტიცხოვლის დასავლეთ ტიმპანის მხატვრობაში და მისი მომგებლის საკითხის შესწავლისათვის

სვეტიცხოვლის ტაძრის წიაღში დავანებული უდიდესი საქრისტიანო სიწმიდის – უფლის კვართის წყალობით, ტაძარს მომლოცველნიც, შემწირველნიც, მომგებელნიც, მოღვაწენიცა და სამწუხაროდ, მტერნიც არ ელეოდა, ყოველივეს ინახავს მისი დღევანდელი სახე და იერი. მისი არქიტექტურა, ქვაზე კვეთის ნიმუშები, კედლის მხატვრობის შემორჩენილი ნაშთები ტაძრის ისტორიის მთხრობელია, რომელიც იმავე დროს, შუა საუკუნეების პერიოდის ქვეყნის ისტორიასთან იყო გადაჯაჭვული.

სხვეტიცხოვლის შემორჩენილ მხატვრობებზე, არცთუ ბევრია დაწერილი, თუმცა, ასეა თუ ისე, გარკვეული სურათის აღდგენა შესაძლებელია. აქ იგულისხმება: საკურთხევლის, გუმბათის ყელის, სამხრეთი კედლის, დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი პირის, კათოლიკოსის საყდრისა და სვეტიცხოვლის (სამირონე) მოხატულობანი. მათ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია გარკვეული მოსაზრებანი. რაც შეეხება დასავლეთ კარიბჭეში, შესასვლელს ზემოთ ტიმპანზე აღბეჭდილ სატრიუმფო კომპოზიციას – აღსაყდრებული დედა ღმრთისა ჩვილი ქრისტეთი და ფლანკირებული მთავარანგელოზთა გამოსახულებებით – მას დღემდე არცერთი გამოკვლევა არ მიძღვნია. ჩემი ნაშრომის მიზანია, შევისწავლო აღნიშნული სცენა, განვსაზღვრო მისი შესრულების დრო და დავაზუსტო მომგებლის ვინაობა.

ტრიუმფალური თაღით შემოფარგლულ არეს ცენტრში უმალ ყურადღებას იქცევს მკვეთრ ლურჯ ფონზე გამოკვეთილი მსხვილი მასშტაბის, ძლიერი ფრონტალური ფიგურა საყდარზე დაბრძანებული ღმრთისმშობლისა, რომლის კალთაშიც წარმოდგენილია ყრმა ქრისტე მაკურთხებელი მარჯვენითა და მარცხენაში კი, დახვეული გრაგნილით. ტახტის ორსავ მხარეს გამოსახული მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი ნიშნად თაყვანისცემისა, ღმრთეებრივი ტახტისკენ ოდნავ შებრუნებულან და თავები დაუხრიათ. მარიამს მოსავს ცისფერი სტოლა და მეწამული მაფორი-

ონი, ხოლო ქრისტეს მუქი ფერის (რუხი) ქიტონი და სადაფისფერი ჰიმატიონი. მარიამი და ქრისტე ერთ ღერძზე, ცენტრში არიან წარმოდგენილნი, ღმრთისმშობელს მარცხენა ხელი ღმრთაებრივი შვილის მხართან მიუტანია, ხოლო მარჯვენა – მის მარჯვენა მუხლთან. მთავარანგელოზების ლორატიული სამოსლის სადაფისფერი გრადაციები, სამეფო ლორონის მოოჭვილი ნაწილები: მანიაკიონი, მისი წინ ჩამოშვებული ზოლი, ფართო ყოშები და ქობა, მეტად სადღესასწაულო გარემოს ქმნიან. საზეიმო კომპოზიცია გვაგონებს, ერთის მხრივ, ქართულ და, მეორეს მხრივ, ბიზანტიურ, ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნებაში გამოსახულ ანალოგიურ სახეებს. წარმოდგენილი ხატება ჩვილედი ღმრთისმშობლისა საოცრად ჰგავს განთქმულ ნიკოპეის ტიპს, თუმცა, აქ იგი აღსაყდრებულადაა წარმოდგენილი. ამგვარ იკონოგრაფიულ ტიპს თ. ვირსალაძის განმარტებით, „პანახრანტას" ანუ „კიპრიოტისას" სახელით იცნობენ.[1] ქართულ ხელოვნებაში ამგვარი გამოსახულებანიც მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულია.[2] თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მისი შეხედვისთანავე მყისიერად ალავერდის საკურთხევლის კონქის კომპოზიცია გვახსენდება,[3] ამასთანავე, აშკარაა ათონურ[4] სახეებთან კავშირიც, რასაც ქვემოთ მივუბრუნდებით.

როგორც თ. ვირსალაძე აღნიშნავდა, ორთავე (ნიკოპეას და პანახრანტას) ტიპი სადღესასწაულო, იერატიული ხასიათით გამოირჩეოდა. სახელდობრ, ნიკოპეას სახე, რომელსაც წინა სახესავით „ძლევის მომტანის" საზრისი ჰქონია, იმპერატორის ლაშქრის პალადიუმი (Palladium), ბარბაროსებზე მისი ტრიუმფის სიმბოლო გახდა.[5] ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ნიკოპეას ტიპის ღმრთისმშობლის ხატი სან მარკოდან.[6] იგი ცნობილი ხატია, რომელიც კონსტანტინოპოლის მფარველად ითვლებოდა. მას ბიზანტიის იმპერატორები თან დააბრძანებდნენ ხოლმე საომარი მოქმედებების დროს. როგორც ა. ვეილ კარი აღნიშნავს, მარიამის გამოსახულებამ ჩაანაცვლა გამარჯვების ქალღმერთის (ვიქტორიას, ნიკეს) გამოსახულება. მას ეკავა ფარი (clipeate) იმპერატორის პორტრეტით, ღმრთისმშობელს კი, ხელთ უპყრია ფარი თავისი ძის გამოსახულებით, ვითარცა ნიშანი მარადიული გამარჯვებისა. მათი მფარველობით მოსახლეობა ახალახალ წარმატებებს აღწევდა.[7]

---

[1] ვირსალაძე, *ქართული მხატვრობის ისტორიიდან*, გვ. 140.
[2] მისი ნიმუშებია: ეძანის რელიეფი (VI ს.), ხანდისის სტელის რელიეფი (VI ს.), ყინწვისის წმიდა ნიკოლოზის (XIII ს.), ბერთუბნის (XIII ს.), იკორთის (XIII ს.), ახტალას (XIII ს.), ზარზმის (XIV ს.), ლიხნეს (XIV ს.), მარტვილის (XIV ს.), ალავერდის (XV ს.), ფშაურის (XIV ს.), ნეკრესის (XVI ს.) ტაძრების მოხატულობები. დიდებულიძე, *ღმრთისმშობლის გამოსახვის ტრადიცია*, გვ. 227-228.
[3] ბურჭულაძე, *მეფეთა პორტრეტები*, სურ.1.
[4] Melvani, *The Middle Byzantine*, სურ. 9.
[5] ვირსალაძე, *ქართული მხატვრობის ისტორიიდან*, გვ. 140.
[6] Weyl Carr, *The Mother of God*, სურ. 208.
[7] Weyl Carr, *The Mother of God*, გვ. 325. თ. ვირსალაძე ა. გრაბარის შრომებს ეყრდნობა, რომლებსაც, სამწუხაროდ, მე არ ვიცნობ და ამ საკითხზე აქვე ვუთითებ თ.

მკვლევარი იქვე აღნიშნავს, რომ ერთიანად ოქროში მოსილი იესო ქრისტე მსგავსად იმპერატორებისა, ფლანკირებული ანგელოზებით, ვითარცა ღმერთი, უაღრესად ახლობელი, უკავშირდება ზეციურ დედოფალს, წარმოდგება შუამავლად მასსა და მის ანგელოზებს შორის.[1]

ვენეციის სან მარკოს ხატი მკვლევართა მიერ პალადიუმად არის მიჩნეული. „ნიკოპეაზე", როგორც კომნენოსთა დინასტიის პალადიუმზე, მიგვანიშნებს, კონსტანტინოპოლის აია სოფიას სამხრეთი გალერეის მოზაიკა (1118 წ.), რომელზეც ვხედავთ იოანე II კომნენოსსა და დედოფალ ირინეს ღმრთისმშობლის ორსავ მხარეს. როგორც ვარაუდობენ, იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა „ნიკოპეას" სტუდენიცაში, ნემანიას სამეფო დინასტიისთვის.[2] თ. ვირსალაძე აღნიშნავს, რომ ატენსა და გელათში ნიკოპეის ხატებას სამეფო სახლის იდეას უკავშირებდნენ.[3] ეს არის ქვეყნიერებასთან მიმართებაში „დაუსაბამოჲსა ყრმისა" ვითარცა გამარჯვებისა და მეოხების სიმბოლოდ წარმოდგენა. ამ ტიპის ღმრთისმშობელი, ჩვეულებრივ, მკაცრად ფრონტალურია, მკერდთან ფარზე, შარავანდედის წიაღ ანდა დედის ხელებზე დაბრძანებულ მაცხოვართან ერთად. განსაზღვრულია მისი ხელების განთავსებაც. განურჩევლად იმისა, თუ როგორაა გამოსახული ქრისტე, ღმრთისმშობელს მარჯვენა ხელი ყრმის მარჯვენა ხელზე აქვს ხოლმე დადებული, ანდა მის მკერდთან მიტანილი, მარცხენა კი – მის მარცხენა მუხლთან.[4]

მართლაც ერთობ საინტერესოდაა წარმოჩენილი საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში და, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, იყო თუ არა, სვეტიცხოვლის ტიმპანის კომპოზიცია ბაგრატიონთა სამეფო გვარის საომარი პალადიუმი და საქართველოს დამცველი? ცხადია, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ღმრთისმშობლის განსაკუთრებულ როლს, რომელიც ადრეული ხანიდანვე დამკვიდრდა, აღნიშნული გარემოება ამის ნათელი დასტურია. ქრისტეს პირველ განცხადებას ჩვენში ადგილი ჰქონდა უფლის კვართის სახით, რომელიც სწორედ სვეტიცხოველშია დასაძირკვლებული. იგი, საეკლესიო გადმოცემებით, სწორედ დედა ღმრთისას მოქსოვილი იყო.[5] მარიამის ბიბლიური წინასახეები კარგადაა წარმოჩენილი ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში და ხატებზე.[6] მას ეძღვნება საგალობლები, ლოცვები და შესაბამისად, სახვითადაც გამოიხატება მარიოლოგიური თემატიკა. განსაკუთრებით, უნდა აღინიშნოს, რომ დედა ღმრთისას სახელზე ეკურ-

---

ვირსალაძის ნაშრომს, სადაც მკვლევარი ფართოდ მსჯელობს აღნიშნულ საკითხზე. ვირსალაძე, *ქართული მხატვრობის ისტორიიდან*, გვ. 139-140.

[1] Weyl Carr, *The Mother of God*, გვ. 325.

[2] სიმონიშვილი, *ნიკოპეის ტიპის ღმრთისმშობლის*, გვ. 191 (ნაშრომში განხილულია ნიკოპეის ტიპის გენეზისი არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კონტექსტში).

[3] ვირსალაძე, *ქართული მხატვრობის ისტორიიდან*, გვ.143.

[4] ხუსკივაძე, *გელათის მოზაიკა*, გვ. 17.

[5] ბუბულაშვილი, *საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები*, გვ. 27-36.

[6] Studer-Karlen, *Old Testament Prefigurations*, გვ. 89-114; ბურჭულაძე, *უბისის მონასტრის ხატები*.

თხება ტაძრები, გამოისახება მისი ცალკეული სახეხატი, იგი ასევე ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებულ სცენებში იმკვიდრებს ადგილს, აღნიშნული ყოველივე კი, უკავშირდება 431 წელს ეფესოს საეკლესიო კრების შემდგომ პერიოდს, თუმცა, მანამდეც დასტურდება მარიამის თაყვანისცემა.[1]

თითქოს, გასაკვირიც არ უნდა იყოს ქვეყნის მთავარ ტაძარში დედა ღმრთისას გამოსახვა შესასვლელს ზემოთ, აღნიშნული საკითხი მსჯელობის საგანი არ არის. აღვნიშნავ, რომ ტაძართან მოსულ მკვლევარს, ტიმპანზე ერთი თვალის შევლებითვე თვალწინ გაურბენს მარიამის სახეხატება უძველესი დროიდან გვიან ხანობამდე და მისი კავშირი ქვეყნის ისტორიასთან. სწორედ, ზებუნებრივი დიდებით შემოსილი მისი ხატება შეგვიძლევება ტაძარში. ნიშანდობლივია, რომ საუკუნეთა მანძილზე მარიამის ხატებს სასწაულთმოქმედი ბუნება ჰქონდა, რაც მის კულტს უფრო აღვივებდა და აძლიერებდა. ადრეულ ხანაში უფლის მტვირთველი დედა ღმრთისას სახე, მოგვიანებით, „ზეციური მფარველის" ხატება, ვიზუალური ანალოგი გახდა, რომელიც გამარჯვებასთან, მეოხებასთან და ხსნასთან ასოცირდებოდა. ამდენად, სრულიად ბუნებრივად, როგორც პალადიუმი ქვეყნისა და სამეფო გვარისა, ვიზუალურად ჩნდება სვეტიცხოველში და ისმება კითხვა, კონკრეტულად რა დროიდან და ვის სახელს უკავშირდება მისი გამოსახვა?

გარკვეული ვარაუდების გამოთქმის საშუალებას გვთავაზობენ, მაგ., XIX საუკუნის მეორე ნახევრის სიძველისმოყვარულები. კერძოდ, ერთერთი პირველი, ვინც ჩამოვიდა მცხეთაში და ჩაიწერა თავისი შთაბეჭდილებები, ა. მურავიოვი იყო.[2] იგი აღნიშნავდა, რომ „კარიბჭეში გამოსახულია ბლაქერნის ღმრთისმშობლის მონათესავე ხატი, რომელიც მოგვაგონებს ჩვენს პეჩორისას. ის თითქმის, აუცილებელი მცველია საქართველოს ყველა ეკლესიისა და ტყუილად არ ჰქვია კარისა, რადგან თავად ივერიის ხატია, მისი მფარველობა უყვარს და სწამს ივერიის კეთილმორწმუნე ერს".[3] ცოტა მოგვიანებით, ა. ნატროშვილმა თავის მონოგრაფიაში სვეტიცხოველზე, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს გამოაქვეყნა, აღნიშნა, რომ ივერიის ღმრთისმშობლის ხატი აუცილებელი მცველია ქართული დიდი კათედრალების და ტყუილად არ ჰქვია კარისა (ეს სასწაულმოქმედი ხატი – ათონის ერთერთი უდიდესი სიწმიდეა, რომელმაც სასწაულებრივად მიაღწია ზღვით ათონის ივერთა სავანეში 999 წელს და მიიღო ღირსმა გაბრიელ ათონელმა. ის დაბრძანებულია ივერიის ქართველთა სავანეში კარიბჭეში, ათონზე. მისი დღესასწაული აღინიშნება ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს). მისი მფარველობა სწამდათ ივერიის კეთილმორწმუნე მკვიდრთ.[4]

---

[1] Бельтинг, *Образ и Культ*.
[2] Муравьевъ*, Грузия и Армения*, ნაწილი I.
[3] იქვე, გვ. 220-221.
[4] Натроев, *Мцхетъ и его Соборъ Свети-Цховели*, გვ. 182.

ამდენად, XIX საუკუნის ისტორიკოსების თვალით, სვეტიცხოვლის ტიმპანზე აღბეჭდილი ჩვილედი ღმრთისმშობელი მთავარანგელოზებით, განთქმულ ივირონის კარის ღმრთისმშობელს დაუკავშირდა, იქნებ არც შემთხვევით. აქვე წარმოვადგენ შესაბამისი კვლევითი ლიტერატურის მიმოხილვას ივერთა მონასტრის უდიდეს სიწმინდესთან დაკავშირებით. მასზე წერდნენ, როგორც ქართველი, ისე ევროპელი მეცნიერები. ერთერთ უადრეს ნაშრომში ივერიის ხატის საწაულებრივად ათონზე გამოჩენა ხატმებრძოლეობის პერიოდს უკავშირდება.[1] ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნდა ა. ნატროშვილის ნაშრომი, სადაც ავტორი ასევე მოგვითხრობს ათონის ივერთა მონასტრის შესახებ, აღწერს მის სიწმიდეებს და მანამდე არსებულ ლიტერატურასაც ეყრდნობა.[2]

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა ნ. ჭიჭინაძის ნაშრომი, სადაც ასევე წარმოდგენილია უახლესი ბიბლიოგრაფია ივირონის ქართველთა მონასტერის შესახებ.[3] ზოგადად იმ ფაქტს, რომ ქართველი მოწესეები ადრეული ხანიდანვე ჩანან ათონის მთაზე, ცხადია, მოწმობს მრავალრიცხოვანი აღწერები პილიგრიმებისა, მოგზაურებისა და სიძველეთმოყვარულებისა.[4]

აქვე შედარებით ვრცლად შევჩერდები კ. ხრისოხოიდისის პუბლიკაციაზე, რომელიც ათონის ივირონის მონასტერს და უშუალოდ პორტაიტისას ხატს, ათონზე მის კულტს ეხება.[5] ნაშრომში მოცემულია ძირითადად, ტექსტობრივი, ლიტერატურული კვლევა მონასტრის მთავარი სიწმიდის შესახებ, ასევე მისი შესაბამის დროში ლოკალიზაციის მცდელობა. ხატმებრძოლი იმპერატორის თეოფილეს დროს ღმრთისმოსავი ქვრივი და მისი ვაჟი ფლობდნენ ღმრთისმშობლის ხატს (ბითვინიის ნიკეაში), იძულებულნი გახდნენ ზღვისთვის მიენდოთ ხატი, რათა გადაერჩინათ. ხატი მრავალი წლის შემდეგ გამოჩენილა კვლავ წმიდა კლიმენტის მონასტრის ყურეში, ცეცხლოვანი სვეტის შუაგულში, მომავალი ივირონის ადგილზე, ათონზე. ბერებმა ამაოდ სცადეს მასთან მიახლოება, ღმრთისმშობელმა თავად ნიშანი მისცა იღუმენს, ხატი მონასტრის კათოლიკონში მიაბრძანა თავმდაბალმა ასკეტმა ბერმა, სახელად გაბრიელმა. ღმრთისმშობლის კიდევ ერთი ნიშნის შემდეგ ხატი განათავსებინა პარეკლესიონში (Parekklesion), რომელიც ამ მიზნით იყო აშენებული მონასტრის შესასვლელთან, რათა ყოფილიყო მისი მფარველი და დამცველი, საიდანაც მიიღო სახელი „პორტაიტისა“ (კარის ღმრთისმშობელი). ეს არის მოკლე ისტორია ათონზე, ალბათ, ყველაზე სახელგანთქმული ღმრთისმშობლის

---

[1] Bury, *Iveron and our Lady,* გვ. 71-72.
[2] Натроев, *Иверский Монастырь на Афоне.*
[3] ჭიჭინაძე, *ათონის მთის ივირონის ქართველთა მონასტერი*, გვ. 213-224.
[4] აღნიშნული ჩანაწერები და აღწერილობები გამოქვეყნებული თუ დამოწმებულია ბოლო დროის პუბლიკაციათა უმრავლესობაში, ამიტომ სტატიის ფარგლებში მათ აღარ შევეხები.
[5] Chryssochoidis*, The Portaitissa icon*.

ხატის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ივირონში ინახება და მოქმედებს, როგორც მონასტრის პალადიუმი.[1]

1355-1356 წლებში, პატრიარქმა კალისტო I წინამძღვრობა (hegoumeneia) პორტაიტისას ეკლესიაში მონასტრის კათოლიკონის ბერძენ ბერებს დაავალა, იქ თავიანთი წმიდა ჰიმნოდიების (ἐκτελῶσι καὶ οὗτοι ἐν αὐτῇ τὰς ἱερὰς ὑμνωδίας) შესრულება კი – იბერიელებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ბიზანტიურ ხანაში ტაძარში უცნობია აკოლუთიების (akolouthiai) ლიტურგიკული ტიპიკონი, თუმცა, XVI საუკუნის პირველ წლებში, ბერები აკურთხეს. კ. ხრისოხოიდისი, ზ. სხირტლაძის შესაბამისი ნაშრომის საფუძველზე, აგრეთვე აღნიშნავს, რომ დაახლოებით იმავე დროს ხატი დაიფარა ძვირფასი საფარით, რაც გახლდათ ძღვენი, გაღებული ქართველი არისტოკრატული წარმომავლობის დიდებულის, ამბროსის მიერ[2] (აღნიშნულ საკითხს ქვემოთ შევეხები კიდევ ერთხელ). რამდენიმე წლის შემდეგ, დაახლოებით 1517 წელს ვლახეთის მმართველის ნეაგოე ბასარაბის მეუღლემ ძვირფასი Podea (ხატების ან საკურთხევლის წინ დასაფენი ძვირფასი ქსოვილი, რომელიც ოქროთი ან ვერცხლითაა ნაქარგი) შესწირა მას. ხატის კულტი გავრცელდა ბალკანეთსა და რუსეთში, განსაკუთრებით XVI საუკუნიდან და შეიქმნა მრავალი ასლი. მკვლევარი პარალელს ავლებს კიდევ ერთ ათონურ ხატთან და აღნიშნავს, რომ ანალოგიურ ფენომენთან გვაქვს საქმე. ეს არის Theotokos Kariotissa, ამჟამად ცნობილი როგორც Ἄξιον ἐστί. იგი დაბრძანებულია და მას თაყვანს სცემენ კარესის[3] (Karyes) პროტატონის ეკლესიაში. მისი დათარიღება სადავოა, ზოგიერთი  მკვლევარი, კ. ხრისოხოიდისის მიხედვით, მას XIII საუკუნის დასასრულით ათარიღებს და პროტატონის სამხატვრო სკოლის სახელოსნოს ნამუშევრად თვლის, სხვა მკვლევარები კი მას XIV საუკუნეს მიაკუთვნებენ. თხრობა ხატზე ზეპირი სახით უნდა არსებულიყო და წერილობითი სახე მხოლოდ XVI საუკუნის დასაწყისში მისცა მას სერაფიმმა,

[1] იქვე. მკვლევარის მითითებით, ხატი პირველად ისტორიულ წყაროებში ივირონის სინოდიკონში 1170 და 1183-1184 წლებში დანამდვილებითაა მოხსენიებული, როდესაც წინამძღვარმა პავლემ განაახლა პორტაიტისას ეკლესიის პარეკლესიონის კარები, სადაც დაბრძანებული იყო, აშკარად, ამ სახელწოდების ხატი. მკვლევარი ვარაუდობს, რომ იგი უნდა აშენებულიყო რამდენიმე წლით ადრე, შესაძლოა XI საუკუნეშიც, რადგან ის არ არის მოხსენიებული დამაარსებლების, იოანეს და ექვთიმეს (ეფთვიმეს) ან წინამძღვარ გიორგის ცხოვრებაში, რომელიც 1056 წელს გარდაიცვალა. შემდეგ განხილულია ხატის უფრო ადრეული და შედარებით მოგვიანო ხანით დათარიღების ვერსიები (იგულისხმება IX ს. ან 980 წ. იოანესა და თორნიკეს მიერ მონასტრის დაარსების დრო, ადრეული XII ს., ასევე გაცილებით გვიანი პერიოდი XIII ს.) და აღნიშნულია: XIII საუკუნისთვის ხატი იმდენად პოპულარული იყო, რომ ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი, ივერონს მიენიჭა დამატებითი დასახელება, „მონასტერი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა“, რომელსაც ჰქვია Portaitissa – Portiatissa – Portiotissa.

[2] სხირტლაძე, *ივერიის ღმრთისმშობლის*; შესაბამისი საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: Skhirtladze, *The Original Cladding*, გვ. 162-163.

[3] ტიმოთე გაბაშვილი ამ მონასტერს უწოდებს ქარესს და რამდენჯერმე მოიხსენიებს მას, იხ. გაბაშვილი, *მიმოსლვა*, გვ. 34-37 და 49.

ათონის ჰიერომონაქოსმა, რომელმაც შეადგინა ათონის მთის თანამედროვეთა ცხოვრება. ათონის მონასტრების ისტორია ეფექტურად გადაიწერა, რადგან შესაბამის ვითარებაში აუცილებელი გახლდათ ისტორიის შექმნა, რომელშიც აისახებოდნენ სახელგანთქმული ფუძემდებლები და დიდებული წარსულის მქონე სასწაულებრივი ხატები, ისტორიულ უზუსტობებს, აშკარა ქრონოლოგიურ შეუსაბამობებს და წინააღმდეგობებს, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მთავარი მიზანი იყო, XV საუკუნეში ოსმალეთის იმპერიის მიერ ოკუპაციის პირობებში წარმოქმნილი კრიზისისა და დაპირისპირების შემდეგ, წმიდა ადგილი თავიდან აღმოეჩინათ თავისი წარსული დიდებით და პრესტიჟით აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ეს ახალი ლეგენდარული ისტორია მონასტრებისა, რომელნიც დაფუძნდნენ კონსტანტინე დიდის, თეოდოსის და პულქერიას დროიდან, გადმოცემულია ნაწილობრივ ფაქტებით, მაგრამ ნაშრომში ძირითადად წარმოდგენილია წარმოსახვითი დაარსების ქრონიკები. აქ შერწყმულია ძველი და ახალი გადმოცემები სასწაულმოქმედი ხატების შესახებ, რომლებიც ალბათ, ზეპირად საუკუნეების მანძილზე ტრიალებდა. სწორედ პატრიდოგრაფიკული მწერლობის დარგს ეკუთვნის ივირონის პორტაიტისას ხატზე ნარატივი, ყოველ შემთხვევაში მის ბერძნულ წერილობით ვერსიაში.

XVI საუკუნეში ეს პატრიდოგრაფიკული ტექსტები თვალსაჩინო ადგილს ანიჭებს ათონის ნახევარკუნძულის მცველს, მფარველსა და სულიერ მფლობელს. თეოტოკოსის კულტი გადმოვიდა წინა პლანზე, რადგან ათონის მცხოვრებთა საერთო ეკლესია, პროტატონი, რომელიც, ალბათ, IX საუკუნისთვის ფუნქციონირებდა, დაარსების დროიდან ღმრთისმშობლისადმი უნდა ყოფილიყო მიძღვნილი. ასევე მას უკავშირდებოდა X საუკუნეში დაარსებული სამი დიდი კოინობიის (ლავრა, ივირონი და ვატოპედი) კათოლიკონი.

ამ ვრცელ თხრობაში ათონურ მონასტრებზე წერილობითი წყაროები, როგორც ვნახეთ, კ. ხრისოხოიდისის მიერ XVI საუკუნეს უკავშირდება, რასაც თავისი გარკვეული წინაპირობები ჰქონდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ივირონის ქართველთა მონასტერი გაცილებით ადრე არსებობდა და მისი ცნობილი ღმრთსმშობლის სასწაულთმოქმედი მფარველი ხატი პორტაიტისა შედევრია  პოსტხატმებრძოლეობის დროისა. ხატის შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ დღეისათვის რჩება აგრეთვე ბევრი კითხვა. უაღრესად საყურადღებოა აგრეთვე კ. ვაფეიადესის ნაშრომი.[1] მკვლევარი აღნიშნავს: გავრცელებულია რწმენა, რომ X საუკუნეში აიგო ათონზე პირველი ეკლესიები, თუმცა, არაფერი ვიცით მათი იმდრიონდელი ფერწერული დეკორის შესახებ.

კ. ვაფეიადესი ასევე ეხება საკითხს, რომ ივირონის მონასტერში დაცული იყო მხატვრობის ფრაგმენტები, წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ქვემოთ, საფლავის ტერიტორიაზე არსებულ ორსართულიან ეკლესია-

[1] Vapheiades, *A reassessment of Middle*, გვ. 79-102.

ში, რომელიც წარმოადგენს ჩაწერილი ჯვრის ტიპის ნაგებობას. 980 წლის შემდეგ იბერიელებმა – მონასტრის ქტიტორებმა, განაახლეს ეკლესია წმიდა კლიმენტის ლავრის ადრე არსებულ ნანგრევებზე. ცნობილია, რომ წმ. იოანე (†1005), მისი ვაჟი წმ. ექვთიმე (†1028) და მონასტრის თანადამფუძნებლები ქართველთა მიერ მოციქულთა სწორებად იქნენ აღიარებულნი. ავტორი ცდილობს სტილისტური თვალსაზრისით განიხილოს საძვალის მხატვრობაში შემორჩენილი ნიმუშები (აფსიდში დეისისია) და პარალელი გაავლოს, რის საფუძველზეც გამოაქვს დასკვნა, რომ აშკარაა შესრულების მაღალი დონე. გასხივოსნებული თვალები, სიბრტყობრივი სამოსი, სახეთა კონტურები გამოხატავს აბსტრაქტულ სტილისტურ ტენდენციას, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული IX-XI საუკუნეების ბიზანტიაში. კიდევ სხვა ნიმუშს წარმოადგენს ათენის ბიზანტიური მუზეუმის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები.[1]

ზემოთ აღნიშნული სტილის შესახებ მონაცემების ფრთხილად გათვალისწინებით, მივდივართ მოსაზრებამდე, რომ ივირონის საძვალის ვრცელი მხატვრული პროდუქცია უნდა მიეკუთვნებოდეს ხატმებრძოლეობასა და XI საუკუნის შუა ხანებს შორის პერიოდს. გარდა ამისა, მხატვრული მიმართულება, რომელიც ამ ნიმუშებში გვხვდება არისტოკრატიული პატრონაჟით არის შესრულებული. საფუძვლიანია დავასკვნათ, რომ ის არ არის პროვინციული და პერიფერიული ხასიათის. თუ ეს ასეა, ივირონის საძვალის ფრესკები გამოხატავს დედაქალაქურ გემოვნებას იბერიელი დამფუძნებლებისა და კერძოდ, თავად იოანეს დროს, რომელიც წინამძღვარი (979/980-1005) იყო და მხატვრობაც მაშინ უნდა შესრულებულიყო.[2]

თუმცა, გასათვალისწინებელია დამატებითი ასპექტები საკითხის შესახებ კვლევიდან. ივერიის მონასტრის სასწაულთმოქმედი მფარველი ხატი, პოსტხატმებრძოლეობის შედევრია და პირველად მოიხსენიება XII ს-ის II ნახ. წყაროებში, თუმცა, ხატი ცნობილი იყო XI ს-ის შუა ხანებში. პ. ვოკოტოპოულოსის თანახმად, სტილის საფუძველზე, შესაძლებელი უნდა იყოს ხატის ადრეული დათარიღება, X-XI სს-თა მიჯნით.[3]

კ. ვაფეიადესი შენიშნავს, რომ პორტაიტისას ხატისა და საძვალის მოხატულობა დღემდე არავის შეუდარებია სტილურად, მიუხედავად იმისა,

---

[1] ბიზანტიური მუზეუმის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები (X-XI საუკუნეები) და კიდევ კასტორიის ანარგიროის ეკლესიის ნარტექსში, ქვედა ფენის მხატვრობა, შესაძლოა, დედაქალაქურ ნიმუშს მისდევს (გვიანი X და ადრეული XI სს.). ბევრია საერთო, სიახლოვე ივირონის ფრესკებსა და გვიანი X-XI საუკუნეთა მხატვრობას შორის, მაგ.: ბეოტიის წმ. ლუკას მონასტერში ღმრთისმშობლის ეკლესიის, ამავე მონასტრის კათოლიკონისა და საძვალის – კრიპტის (1022-1035), პანაღია პროტოთრონოსში, ნაქსოსის (X საუკუნის ბოლო და XI საუკუნის დასაწყისი) და თესალონიკის წმ. სოფიის ეკლესიის ნარტექსის სამონასტრო წმიდანთა ციკლის (XI საუკუნის II მეოთხედი).

[2] Vapheiades*, A reassessment of Middle*, გვ. 81.

[3] Vokotopoulos, *Note sur l'icone*, გვ. 27-30.

რომ კედლის მხატვრობის წინანდელი მდგომარეობა არ გვაძლევს საბოლოო დასკვნების გამოტანის საშუალებას. იმის შესაძლებლობა, რომ სასწაულთმოქმედი ხატი ნაწარმოებია კონკრეტული მხატვრის თუ სახელოსნოსი, უნდა იქნეს შემდგომში შესწავლილი, ამასთან, მყარი სტილური კავშირი უნდა იქნეს შემოთავაზებული.[1]

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ივერთა მონასტრის ხატი ოქროცურვილი ჭედური პერანგითაა შემოსილი. ზ. სხირტლაძის გამოკვლევის თანახმად, ხატი შესაბამისი პერანგით დაფარეს 1500-1504 წლებში, სამცხის ათაბაგების ქაიხოსროსა და მზეჭაბუკის საფასით.[2] ივერიის დედა ღმრთისას ხატი, თავისი სასწაულთმოქმედი ბუნებით, მთელ საქრისტიანოში და საკუთრივ, საქართველოში, განსაკუთრებული თაყვანისცემის საგანი გახდა. ის იკონოგრაფიული სქემითაც გამორჩეულია, მკვლევართა მითითებით, იგი ოდიგიტრიის ერთერთ  კონკრეტულ სახეს წარმოადგენს.[3] ხატის მრავალი პირი იქნა შესრულებული, რაც მარიამს წარმოადგენდა ვითარცა პალადიუმს; ნ. ჭიჭინაძე უშგულის XI საუკუნის პირველი ნახევრის ოდიგიტრიის ტიპის ღმრთისმშობლის ხატის განხილვისას შენიშნავს, რომ იგი ახლოსაა XI საუკუნის ბიზანტიურ მხატვრობასთან, მასსა და ივირონის ხატის დედა ღმრთისას სახეთა შორის დიდი მსგავსებაა.[4] ათონური სახეები, ჩანს, განსაკუთრებით იზიდავდა მართლმადიდებლურ სამყაროს, განსაკუთრებით, პოსტბიზანტიური ხანიდან, როდესაც მთლიანად ათონზე გადაინაცვლა არსებულმა საეკლესიო და სამხატვრო ცენტრებმა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ათონის მონასტრებში კონქი, როგორც წესი, უკავია ოდიგიტრიას. ღმრთისმშობელი ზის ფართო ტახტრევანზე ჩვილ ქრისტესთან ერთად კალთის მარცხენა მხარეს, ფლანკირებული ორი მთავარანგელოზით. ეს არის ყოველთვის მშვენიერი ახალგაზრდა ქალის ტიპი (იხ.: პროტატონი, დოხიარიუ, დიონისიატე, ლავრა-კათოლიკონი და სხვა მრავალი).[5] უკანასკნელ პერიოდში უკვე საკმაოდ ბევრი პუბლიკაცია ქვეყნდება ათონის მონასტრების მოხატულობების შესახებ და ილუსტრაციების საშუალებით შესაძლებელი ხდება ათონურ სახეებზე დაკვირვება, მათი შესწავლა.[6] განსაკუთრებით პროტატონის (მაცხოვრისა და ღმრთისმშობლის) ხატები იქცევენ ყურადღებას, ერთგვარ, თუ შეიძლება ითქვას, რეფრენად გასდევენ ათონურ სახეებს.[7] კარესის მონასტრის პროტატონის

---

[1] იქვე, გვ. 81.

[2] სხირტლაძე, *ივერიის ღმრთისმშობლის ხატის*, გვ. 27. როგორც გამოკვლევის ავტორი აღნიშნავს, ხატი 1819 წელს ივირონის მონასტრის კრებულის დაკვეთით, ახალი, რუსული  საფარით მოუჭედავთ, რასაც რუსული საქტიტორო წარწერაც მოწმობს.

[3] ჭიჭინაძე, *კონსტანტინოპოლის სასწაულმოქმედი სახეები*, გვ. 77.

[4] ჭიჭინაძე, *შუა საუკუნეების ქართული ხატწერა*, გვ. 7-8, ილ.1.

[5] ვაჩნაძე, *ლევან კახთა მეფე*, გვ. 132.

[6] Melvani, *The Middle Byzantine*, სურ. 9.

[7] Kalopissi-Verti, *The Proskinetarion of the Templon,* გვ. 107-134, ილ. 2-3.

ეკლესიის კედლის მხატვრობანი ათონური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ და ისინი ათონური სულიერების უზენაესი გამოხატულებაა. ამავდროულად, ცნობილია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არის დაზუსტებული მათი შექმნის დრო და მხატვართა სავარაუდო ვინაობის, პროტატონისა და ე.წ. „მაკედონიური სკოლის“ ურთიერთმიმართების, მხატვრების, მანუელ პანსელინოსის, ევტიქიოსისა და მიქაელ ასტრაპას ღვაწლის საკითხები.[1] თუმცა, შემორჩენილი ნაშთებიც კი ცხადჰყოფენ, თუ როგორი აქტუალური იყო შუა საუკუნეების მხატვრობაში, ასე ვთქვათ, მათი ზეგავლენით დამკვიდრებული სახეხატები.

ათონური გავლენებით, ასე ვთქვათ, გამდიდრდა პოსტბიზანტიური პერიოდის ხელოვნება, შესაბამისმა ზემოქმედებამ მისი წრის ქვეყნებში და რასაკვირველია, საქართველოშიც იჩინა თავი. სათანადო გავლენის მაგალითები ვლინდება არა მხოლოდ მონუმენტურ, არამედ – სამინიატიურო მხატვრობაშიც, შემორჩენილია მრავალი ნიმუში, თუმცა მათი უმრავლესობა კვლავაც ელის კვლევას, რაც მეტ საკითხს მოჰფენს ნათელს. სვეტიცხოვლის დასავლეთ ტიმპანის საზეიმო კომპოზიციის შესწავლა ერთერთი შემადგენელი ნაწილი იქნება ამგვარი ფართო სპექტრით გამოკვეთილი ნაშრომებისა და სიცხადეს შეიტანს საკვლევ საკითხებში.

ყურადღებას იპყრობს სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთი კარიბჭე, რომელსაც აშკარად გვიანი გადაკეთების კვალი ატყვია. თუმცა, მოცემული სურათის მიხედვით, შესაძლებელი უნდა იყოს ვარაუდი, რომ სამუშაოები სრულდებოდა გარკვეული ინტერვალებით. შესასვლელს ზემოთ წარმოდგენილია დიდი ზომის მხედრული წარწერა, სადაც განმაახლებლად მოიხსენიება ვარლამ, ექსარქოსი, მცხეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა, ქსნის ერისთავის დავითის ძე, თარიღიცაა მითითებული – 1813 წლის 1 ოქტომბერი. ამ წარწერის ფოტო გამოქვეყნებული აქვს ა. ნატროშვილს. კარიბჭის სამხრეთ კედელში ჩართულია დომენტი კათოლიკოსის მოსახსენიებელი ქვა, რომელმაც მიიქცია ისტორიკოსთა და პალეოგრაფთა ყურადღება. ქვაზე აღნიშნულია კათალიკოსის გარდაცვალების თარიღი – 1676 წელი, ქორონიკონი 364, 22 სექტემბერი.[2] აღნიშნულმა ინფორმაციამ მკვლევარებს მისცა საფუძველი ქვეყნისა და საკუთრივ ტაძრის ისტორიის ცალკეული ფაქტების ნათელსაყოფად.

დომენტი III აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქი 1660-1676 წლებში ყოფილა, ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675) მეფობის პერიოდში. ქრისტეფორე კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ „დასუა მეფემან ბიძაშვილი თჳსი დომენტი, კაცი ღირსი საყდრისა. ... სრულ საქმითა, რამეთუ ამან მატა სჯულსა და წესსა ეკლესიისასა“.[3] მან ბევრი რამ შესძინა ეკლესი-

---

[1] Vapheiades, *The wall-paintings*, გვ. 113-128 (ნაშრომში მითითებულია საკითხის ირგვლივ ვრცელი ბიბლიოგრაფია).

[2] Натроев, *Мцхеть и его Соборъ Свети-Цховели*, გვ. 182.

[3] კაჭარავა, *საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები*, გვ. 111.

ას. განსაკუთრებულია მჭადიჯვრის ცენტრალურ გუმბათოვანი ეკლესიის აგება. ანჩის ხატი დააბრძანა თბილისის საპატრიარქო ტაძარში. განაახლა „შემუსრვილი“ ანჩისხატის ეკლესია, „კუალად“ დიდ, უგუმბათო, საკათოლიკოსო ტაძრად აქცია და 1675 წ. სამრეკლოც აუგო. იგი სვეტიცხოველში განისვენებს.[1]

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ ჩართო კათოლიკოსმა მოსახსენიებელი ქვა, ერთგვარი ეპიტაფიით სვეტიცხოვლის დასავლეთ კარიბჭეში? რასაკვირველია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მის განახლებაში მიუძღვოდა წვლილი. სხვა მხრივ, აღნიშნულ ფაქტს ალბათ, ვერ ავხსნით. როგორც ა. ნატროშვილი წერს, 1892 წლის 30 აგვისტოს დადგენილებით, „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებამ“ მხატვარ იოსებ პიჩს დაავალა ძველი მხატვრობის განახლება ტაძრის საკურთხეველში, აგრეთვე შესასვლელს ზემოთ, დედა ღმრთისას სახისა. მას მოჰყავს შემდეგი პირობები: 1. შეკეთება დაზიანებული მხატვრობისა კონკრეტულ ადგილებში, 2. განახლება და გაწმენდა ძველი საღებავებისა ჭუჭყისგან, ამასთან არ უნდა შეცვლილიყო გამოსახულებათა ტიპები, 3. მხატვრობისთვის გამოყენება საუკეთესო ხარისხისა და მუქი ტონის საღებავების, დაუშვებელი გახლდათ კაშკაშა ფერები: წითელი და ყვითელი, 4. ხარაჩოები უნდა აეგოთ საკუთარი ხარჯებით.[2] რასაკვირველია, რესტავრაცია გარკვეული ხარჯის საფასად იქნა შესრულებული, ბატონ პიჩისთვის თავიანთი სახსრებიდან აღნიშნულ საზოგადოებას უნდა გადაეხადა 600 მან., რომელთაგანაც 100 მან. წინასწარ, ხოლო დანარჩენი სამუშაოს შესრულების შემდეგ უნდა ჩაერიცხათ.[3] ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოებაც: კომისიის წევრები იყვნენ მხატვარი (ლუდვიგ) ლონგო, საქართველოს სინოდის კანტორის არქიმანდრიტი ნიკოლოზი და ეპარქიის არქიტექტორი ბ-ნი ბილფელდი.[4]

ვფიქრობ, ტიმპანზე აღბეჭდილი დედა ღმრთისას გლორიფიკაცია გაცილებით ადრეული ხანის ქმნილებაა, ამასთანავე, მარიოლოგიური თემის წინ წამოწევა საქართველოში ყოველთვის აქტუალური იყო. 1813 წელს, როგორც წარწერა გვამცნობს, მისი განახლება უნდა მომხდარიყო. XI საუკუნისა და XIX საუკუნის ქმნილებებს ერთი საზომით ვერ მიუდგებოდნენ რესტავრაციისას. ალბათ, ორივე კომპოზიცია თანაბრად დაზიანებული იყო და, ამდენად, თავიდან გადასაწერი. თანაც, შეუძლებელია იმის დაშვებაც, რომ 1813 წლამდე ტიმპანის არე ცარიელი, მოურთავი ყოფილიყო. სავარაუდოა, საუკუნეების მანძილზე მისი განახლება ხდებოდა. რასაც, ის ფოტოც მოწმობს, რომელსაც ა. ნატროშვილი ურთავს თავის მონოგრაფი-

[1] ოთხმეზური, *სვეტიცხოვლის ეპიგრაფიკა*, გვ. 143.

[2] Натроев, *Мцхетъ и его Соборъ Свети-Цховели*, გვ. 270. 1892 წელს გადაიწერა საკურთხევლისა და დასავლეთის კარის ტიმპანის მხატვრობა (მხატვარი ი. პიჩი), იხ.: ანდღულაძე (და სხვა), *სვეტიცხოვლის კომპლექსი*, გვ. 262.

[3] Натроев, *Мцхетъ и его Соборъ Свети-Цховели*, გვ. 270.

[4] იქვე, გვ. 270-271.

ას სვეტიცხოველის შესახებ. მისი ავტორი დიმიტრი ერმაკოვია. ფოტოგრაფია, ჩანს, გადაღებულია 1892 წლამდე, რადგან მასზე აღბეჭდილი და დღევანდელი სურათი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ დავაკვირდებით, დღეისათვის მთავარანგელოზებს სახეები „არ აქვთ“, ანუ არ არის სახის ნაკვთები მკაფიოდ ამოწერილი, მხოლოდ სახის კონტურია მონიშნული და ასე ვთქვათ, ერთიანად შეფერილი; ფოტოზე კი, მკვეთრადაა ნაწერი მთავარანგელოზთა სახეები, მიქაელისა და გაბრიელის სხვადასხვა ტიპი სახისა აშკარაა. ყოველივე აღნიშნული კი, მიუთითებს, რომ მართლაც მომხდარა მხატვრობის განახლება.

ამასთან, ვინ უნდა ყოფილიყო ამ მხატვრობის მომგებელი, ბუნებრივია, ჩნდება ასეთი კითხვა, რომლის პასუხიც არ იქნება რთული, თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომლის წინაშეც იდგა მაშინ საზოგადოება. დასავლეთ პორტალში ჩრდილოეთ კედელზე შიგნით გამოკვეთილია, ძველი შუა საუკუნეობრივი ტრადიციებით ჯვარი. თუმცა, ჩანს, იგი გვიანი ხანის ნიმუშია და აშკარად, XVII საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი, ანუ როდესაც პორტალი განახლდა. აღნიშნული საკითხის შესახებ ა. ნატროშვილი წერს: იგი ნიშანია იმისა, რომ აქ მოწამეობრივად აღესრულებოდნენ ქრისტეს რწმენისათვის.[1]

სვეტიცხოვლის ტაძრის განახლებებზე სხვადასხვა მნიშვნელოვან გამოკვლევას ვხვდებით, განსაკუთრებით მარიამ დედოფლის ღვაწლის შესახებ. მისი პორტრეტი ვაჟთან, ოტიასთან ერთად, ღმრთისმშობლის მფარველობით, ტაძრის სამხრეთ ბურჯთან საკურთხეველთან მიმდებარედ არის წარმოდგენილი.[2] მარიამ დედოფალმა (1634-1680) მრავალი ტაძარი და სიწმიდე განაახლა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. როგორც ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს, „რომლისა [იგულისხმება მარიამ დედოფალი] მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ...“[3] საყურადღებოა აგრეთვე ამავე ეპოქის ერთერთი ქართველი დიდებულის, აშოთანის ღვაწლი. იგი უნდა იყოს კათოლიკოს დომენტი III ძმა, პირთა ანოტირებული ლექსიკონის შესაბამისად.[4] აშოთანის ღვაწლის შესახებ საისტორიო ნაშრომები იუწყებიან. მისი მოღვაწეობა სათანადოდ არის აგრეთვე შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში“ აშოთანთან დაკავშირებით ხელნაწერის სამივე რედაქციაში აღნიშნულია, რომ მას (აშოთანს) პორტაიტისას ხატისთვის გუმბათიანი მცირე ეკლესია აღუ-

---

[1] Натроев, *Мцхетъ и его Соборъ Свети-Цховели*, გვ.183.

[2] ჩიხლაძე, *სვეტიცხოვლის მოხატულობანი*, გვ. 242-243; ნაცვლიშვილი, *მარიამ დადიანი და არქიტექტურული*, გვ. 225-256; მისივე, *Queen Consort Mariam*, გვ. 52-78.

[3] ბერი ეგნატაშვილი, *ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი*, გვ. 441. ტომის რედაქტორი მიუთითებს, რომ აქ ტექსტი ნაკლულია და დედანში თხრობა აღარ გრძელდება. თუმცა, მიუხედავად ტექსტის ნაკლულობისა, აზრი მაინც მკაფიოდაა გამოხატული და იგულისხმება, რომ თამარ მეფის შემდეგ მისი მსგავსი მარიამ დედოფლის გარდა, არავინ ყოფილა.

[4] *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*, გვ. 230-231.

შენებია, რომელშიც თვითონ და მისი ძე არიან გამოსახულნი. A და B რედაქციებში მისი ვაჟიშვილის სახელი ეზეკიელია, ხოლო C-ში – იესე. B და C რედაქციებში ხატის (პორტაიტისას) მომჭედველი ყვარყვარე ათაბაგის და დედისიმედის ძე, წმიდა ქეთევან დედოფლის დისწულია.[1] „...ამა მონასტერში ნათლისმცემლის ტაძარი სხვა არის, ეფთვიმისაგან აღშენებული, ოთხს მწვანეს არღავანის სვეტზე აღშენებული. ოდეს წმიდას ათანასე ათონელს ლავრიდამ გამოეყარნენ, მაშინ აღაშენეს სხვა გუმბათიანი ტაძარი პორტაიტისა, – აღშენებული აშოთანის მიერ მუხრანის ბატონისა. აწ პორტაიტისა ღმთისმშობლისათვის ვიტყოდეთ, რომელ არს კარისა ღმთისმშობელი“.[2] ტიმოთე გაბაშვილთან აგრეთვე ვკითხულობთ: „...საზოგადოებრივი ტრაპეზი თავისის ჴომლითა და გაწყობილობით აღუშენებია აშოთანს მუხრანის ბატონს“.[3] „...ქოლგა მძიმედ ნაკერი, აშოთან მუხრან ბატონისა მიერ შემოწირული“.[4] აშოთან ბატონიშვილი ხშირად ფიგურირებს ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში და ჩანს, თავისი დროის ცნობილი პიროვნებაა.[5] კ. კეკელიძე სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ 1672 წ. მოუხატავთ მონასტრის სატრაპეზო, რომელშიაც გაუკეთებიათ კამარები წარსაგებელითა საქართველოდან უგანათლებულესის ბატონის აშოთანისა. არსებობს მეორე ცნობა, თითქოს 1680 წელს აშოთან მუხრან-ბატონს აეშენებინოს მონასტრის კარიბჭესთან ახალი ეკლესია, რომელშიაც გადმოუსვენებიათ პორტაიტისას ხატი.[6] ლ. მენაბდე, აშოთანთან მიმართებით, იზიარებს კ. კეკელიძის მოსაზრებებს.[7] აშოთანის მოღვაწეობას მიეძღვნა ასევე სპეციალური კვლევა.[8] მასში წარმოდგენილია ქართველთა კვალი და ღვაწლი ათონზე, ივირონის აღსადგენად და გადასარჩენად. მონასტრის ქართველი ძმობის მიერ წარმოებულ შემოწირულობათა წერილობითი აღწერა-დაფიქსირების წყალობით, იგულისხმება ქრონიკები, ცნობილი ხდება იმ ქართველ მეფე-დედოფალთა სახელები, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ივერთა მონასტრის კვლავ აღორძინებაში.[9] კვლევისას მიღებული შედეგების მიხედვით, ათონზე მუხრანბატონთა უკვდავსაყოფად ორი ადამიანი იღწვის და თან ორივე სახელით – აშოთანი. ისინი ერთმანეთისგან თითქმის ერთი საუკუნით არიან დაშორებულნი. მათი სახელები ხშირად ჩანს „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე, როგორც იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური და და კულტურული ისტორიის შექმნის მონაწილეებისა. პირ-

[1] გაბაშვილი, *მიმოსლვა*, გვ. 043-044.
[2] იქვე, გვ. 18.
[3] იქვე, გვ. 21.
[4] იქვე, გვ. 23.
[5] გვრიტიშვილი, *ფეოდალური საქართველოს სოციალურ*; ნინიძე, *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია.*
[6] კეკელიძე, *მიტაცება ბერძენთა მიერ*, გვ. 79-80.
[7] მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, გვ. 230.
[8] დავითაშვილი, *ორი აშოთან მუხრანბატონის*, გვ. 9-16.
[9] იქვე, გვ. 9-10.

ველად აშოთანის სახელი 1560 წელს კარის ღმრთისმშობლის ხატისათვის შეწირული სახარების ვერცხლის ნაჭედ ყდაზეა მოხსენიებული. იგი უნდა იყოს ლუარსაბ მეფის ბიძაშვილი და შემდგომში მთელი საქრისტიანოსთვის ცნობილი წმიდა ქეთევან წამებულის მამა. ხშირად მოიხსენიება „ქართლის ცხოვრებაში", როგორც ირკვევა, იგი 1561 წელს გარდაცვლილა სულტან შაჰ-ვერდისთან ბრძოლაში.[1]

მეორე აშოთანის მოღვაწეობის პერიოდი ათონზე 1672-1687 წლები უნდა იყოს; იგი, როგორც ქტიტორი, სხვადასხვა დოკუმენტში ხშირად ჩანს. აშოთანი თავისი ეპოქის ერთერთი ქველმოქმედია – იგი დიდძალ საფასს გასცემს თურქთაგან გაღარიბებული ათონის ივერთა მონასტრისთვის.[2] ერთერთი საფასი, რომელიც აშოთანმა გაიღო არის საჩრდილობელი ქოლგისთვის ივერიის ღმრთისმშობლის ხატისა, რომელიც დღეს დაცულია ივერთა მონასტრის საგანძურში.[3] მითითებულ ნაშრომში ეს მხატვრული ქმნილება საფუძვლიანადაა შესწავლილი, მხოლოდ იმას დავძენდი, რომ აშოთანი, აქაც როგორც ქტიტორი, ანუ მომგებელი, ისე მოიხსენიება, ქართულ ტექსტს ბერძნული წარწერაც ახლავს. მასთან ერთად გამოუსახავთ მისი უფროსი ვაჟი ქაიხოსრო. წარწერა კი იუწყება, რომ ბატონიშვილი აშოთანი ღვთივგვირგვინოსანი ქართველი მეფის გიორგის ბიძაშვილია. ცხადი ხდება, რომ მეფე გიორგი, გიორგი XI უნდა იყოს. მეცნიერთა მითითებით, აშოთანი სამუხრანბატონოს 1688-1692 წლებში განაგებდა. მას უცხოვრია „ორიანობის" (ურთიერთდაპირისპირების) პირობებში, გიორგი XI-ის და ერეკლე I-ის დროს. ირანის შაჰს კახეთის ბაგრატიონთა შთამომავალი, ერეკლე I (1688-1703) გაუმეფებია. ერეკლე I-მა დაამდაბლა მეფე გიორგი XI-ის ერთგული მუხრანელები.[4] ს. დავითაშვილი ლოგიკურად ასკვნის, რომ აშოთან მუხრანბატონი ათონისთვის დიდძალი საფასის გაღებას მხოლოდ 1688 წლამდე პერიოდში მოახერხებდა, მაშინ როდესაც მისი გვარი გიორგი XI-ის წყალობით, ჯერ კიდევ სათანადო ძალას ფლობდა, სახელდობრ, 1672-1687 წწ.[5]

ვფიქრობ, სწორედ აშოთან მუხარანბატონი, დომენტი III კათოლიკოსის ძმა და ქართლის მეფე გიორგი XI-ის ბიძაშვილი, უნდა იყოს მომგებელი სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთი ტიმპანის მხატვრობისა, სადაც ღმრთისმშობელია აღბეჭდილი.

---

[1] ჟორდანია, *ქრონიკები*, ტ. II, გვ. 402.
[2] დავითაშვილი, *ორი აშოთან მუხრანბატონის*, გვ. 10-11.
[3] დავითაშვილი, *ათონის ივერიის ღმრთისმშობლის*, გვ. 313-346.
[4] ნინიძე, *ბაგრატიონთა სამეფო სახლის*, გვ. 184; *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, გვ. 465.
[5] დავითაშვილი, *ათონის ივერიის ღმრთისმშობლის*, გვ. 323. აშოთანს 1678 წელს, ქართლის მეფე გორგი XI და იმერეთის მეფე არჩილთან ერთად, გუმბათებისა და პალატების აღდგენისთვის, ხარჯი გაუღია ათონის კარაკალუს მონასტრისთვისაც. იხ. იქვე, გვ. 325; ტიმოთე გაბაშვილი ამ მეფეთა და აშოთანთან ერთად ამ კონტექსტში მოიხსენიებს ვახტანგს, ქართველთა ბატონს, „და დღითი დღე არს მათი მოჴსენება". გაბაშვილი, *მიმოსლვა*, გვ. 38.

როგორც ვნახეთ, ათონზე მისი მომგებლობით მრავალი სიწმიდე აღდგა, გაკეთდა მრავალი შეწირულობა და თითქოს, ბუნებრივად, უკავშირდება მისი სახელი დედა ღმრთისას ათონურ სახეს, რომელიც ქვეყნის მთავარ ტაძარშია აღბეჭდილი. ამასთან, ამავე პორტალში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დომენტი კათოლიკოსის მოსახსენიებელი ქვაა ჩართული და ამ პერიოდის განახლებების კვალი ატყვია მთლიან კარიბჭეს. თუმცა კარიბჭეზე ვხვდებით აგრეთვე, აქცენტირებული სახით, ვარლამ ექსარქოსის, განმაახლებლის, 1813 წელს შესრულებულ წარწერას. თუმცა, როდესაც მთლიანად კარიბჭე გავიაზრე და შევისწავლე, მისი ადგილი საქართველოს ისტორიასა და ხელოვნებაში, სრულიად სხვა სურათი წარმოჩნდა. აშკარაა, რომ მის მთლიან პროგრამაში, მხატვრულ დეკორში, ასახულია სწორედ XVII საუკუნის რეალობა. 1813 წელს მხოლოდ გაწმინდეს ფერები, სახეები. აქვე აღვნიშნავ ორნამენტული დეკორის შესახებ, რომელიც შესასვლელ კარს დაბალი რელიეფით, სწორკუთხედად შემოუყვება, რთული თავისი ბუნებით. თითქოს მასაც ამავე პერიოდის კვალი ატყვია. ერთმანეთთანაა დაკავშირებული მცენარეული და გეომეტრიული წნულები, რომელთაც, რასაკვირველია, ვერ შევადარებთ, თუნდაც დასავლეთ ფასადის ვაზის – სიცოცხლის ხის გამოსახულებებს. აშკარაა, წარმოდგენილია ორი სხვადასხვა ეპოქა, სხვა ისტორიული პირობებით და საშუალებით შექმნილი.

აშოთან მუხრანბატონის საფასით შექმნილ ივერიის ღმრთისმშობლის ხატის საჩრდილობელ ქოლგაზე აღბეჭდილია დედა ღმრთისა, მის ერთ მხარეს მოცემულია „ღმრთისმშობელო შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი“-ს კომპოზიცია, ხოლო მეორეზე – მაცხოვრის შობისადმი მიძღვნილი საგალობლის ამსახველი ილუსტრაცია. ორივე შემთხვევაში ნიშოვანი ღმრთისმშობელი, პლატიტერაა წარმოდგენილი და მის წიაღში აღბეჭდილ ქრისტეს კურთხევის ნიშნად, ორივე ხელი გაუპყრია.[1] მედალიონში გამოსახული ჩვილედი ღმრთისმშობლის გარშემო თავს იყრის თორმეტი მოციქული და სხვა წმიდანები, ამ მედალიონებს ერთმანეთთან ვენახის ყლორტები აკავშირებთ. ყურადღებას იპყრობს წმ. იოანე დამასკელის მიერ ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილ ლოცვათაგან შემდეგი საგალობელიც, რომელიც ქოლგის ამ მხარეს არსებულ კომპოზიციას შეესაბამება: „შენდამი იხარებს მიმადლებულო ყოველი დაბადებული, ანგელოზთა კრებული და კაცთა ნათესავი, ტაძარო სიწმიდისაო, ს ა მ ო თ ხ ე ო  პ ი რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ო, რომლისაგან სიტყვა განხორციელდა, და ყრმა იშვა – პირველსაუკუნეთა ღმერთი ჩვენი, რომელმან საშო შენი – საყდრად გამოაჩინა, და მუცელი შენი – ცათა უვრცელეს-ჰყო, შენდამი იხარებს მიმადლებულო, ყოველი დაბადებული, დიდება შენდა“.[2] ანუ ამ საგალობელში დედა ღმრთისა გააზრებულია, ვითარცა ჭეშმარიტი პირველმეტყველი სამოთხე, რომელმაც შემოიკრიბა მისი თაყვანისმცემელნი.

---

[1] დავითაშვილი, *ათონის ივერიის ღმრთისმშობლის*, სურ. 7-8, 11-12.

[2] დავითაშვილი, *ათონის ივერიის ღმრთისმშობლის*, გვ. 331-332, სქ. 52.

ათონის სიწმიდეების, ხელნაწერების შემსწავლელ მეცნიერთა მოსაზრებათა საფუძველზე, საკმაოდ საინტერესო პარალელების გავლებაა შესაძლებელი. ათონი სახელდებულია, ვითარცა „ღმრთისმშობლის ბაღი“,[1] „სამოთხე მიწაზე“,[2] ათონის მთაზე ჩასვლა „ღმრთისმშობელ მარიამის ბაღში“ მოგზაურობაა.[3]

როგორც კ. ხრისოხოიდისი აღნიშნავს, „პირველმა ქრისტიანმა ხელისუფალმა კონსტანტინე დიდმა, ‘უწოდა ათონს ღმრთისმშობლის ბაღი’ და დააწესა, რომ მთა ყველგან წმიდად უნდა იწოდოს. ათონის, როგორც ‘ღმრთისმშობლის ბაღის’ აღწერა, რომელიც დღემდე ფართოდ გამოიყენება, სათავეს XVI საუკუნის გარიჟრაჟზე იღებს. სასწაულთმოქმედი ღმრთისმშობლის ხატები, გადმოცემებით, ნარატივებით, რომლებსაც შეგვიძლია მივაკვლიოთ იმავე პერიოდის თხზულებებში, ამ ბაღის ყვავილებია“.[4]

თუ გავიხსენებთ, „ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი“-ს ტექსტს, მეფის ბაღი სამოთხედ იწოდება – „სამოთხეჲ სამეუფო“,[5] აქ გადაწყვიტა მეფემ ტაძრის აშენება და სწორედ აქ იქნა აღმოცენებული „სვეტი-ცხოველი“. ყურადღებას იპყრობს რ. სირაძის დაკვირვებანი. „სვეტი-ცხოველი“ დგას „სამოთხეში“. მართალია, ეს „სამოთხე“ სინამდვილეში მეფის ბაღია, მაგრამ მასში სიმბოლურად შეიძლება ვიგულისხმოთ სულიერი სამოთხეც. ასეთი რამ აღნიშნულიცაა ნაწარმოებში: წმიდა ნინომ ეს ბაღი სამოთხედ აქცია. ბიბლიურ სამოთხეში ორი ხე იდგა: ხე ცხოვრებისა და ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა. სვეტი-ცხოველი ცხოვრების ხეა, ამიტომაც მასზედაც ითქმის ის, რაც აპოკალიპსისში წერია: „ისმინენ, რასა ეტყვის სული ეკლესიათა: რომელმან სძლოს, მივსცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხორებისა, რომელ არს შორის სამოთხესა ღმრთისა ჩემისასა“ (გამოცხადება, 2,7).[6] როგორც „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ტექსტი გადმოგვცემს: „‘აჰა ესერა აქაცა მოსრულ არს დედაკაცი ესე და შეცვალოს ყოველი წესი ქუეყანისაჲ ამის’ და მომექცა და მრქუა: ჩუენებაჲ შენი არს ესე, რამეთუ ადგილი ესე სამოთხისაჲ შენ მიერ იქმნეს სამოთხჱ სადიდებელად ღმრთისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“.[7] ამდენად, სრულიად ცხადად წერია, რომ ღმრთის განგებით უნდა ექცია წმიდა ნინოს

[1] Chryssochoidis, *The Portaitissa icon*.
[2] Matziris (et al.), *Gardens and trees*, გვ. 29.
[3] Paliobeis, *Impressions of pilgrims*, გვ. 31.
[4] Chryssochoidis, *The Portaitissa icon*.
[5] *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, გვ. 81-163; *ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი*, გვ. 9-34.
[6] სირაძე, *„წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა*, გვ. 289.
[7] *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, გვ. 124. ციტატა A რედაქციიდანაა, B რედაქციაში ტექსტი ასე ჟღერს: „ჩუენებაჲ შენი არს მსგავს ჩუენებასსა იაკობისსა, რამეთუ ადგილი ესე შენ მიერ იქმნეს სამოთხედ უკუნისამდე“. იქვე, გვ. 124.

ეს ბაღი სამოთხედ.[1] სიმბოლურად თუ გავიაზრებთ, სულიერი სამოთხე იგულისხმება, სადაც იქადაგება ქრისტიანული მოძღვრება და მისი თანამიმდევრული დაცვა ახალ სამოთხეში შეგვიძღვება.

რ. სირაძის დაკვირვებით, სვეტიცხოვლის ტაძარი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს გამოხატავდა, ვითარცა ადგილი ღმრთისა.[2] ის ხომ სიონადაც იწოდებოდა. მასალის სახისმეტყველური გააზრება ბევრ საინტერესო შრეს ათვალსაჩინოებს.

ამდენად, ცხადი ხდება, აზრობრივი კავშირი: ტრიუმფალური, საზეიმო კომპოზიცია დედა ღმრთისასი ქრისტესთან და მთავარანგელოზებთან ერთად, სამოთხისეული გლორიფიკაციის გამოხატულება, გვეგებება ტაძარში შესვლის წინ და შეგვიძღვება იმ სამოთხეში, სადაც იქნა აღმოცენებული და დაფუძნებული „სვეტი-ცხოველი", ვითარცა ახალი „ხე სიცოცხლისა", სადაც უფლის კვართი დაიფლა, რომელსაც გადმოცემების მიხედვით, მეორედ მოსვლისას შეიმოსავს მაცხოვარი. „...დაჯდეს შეიმოსის კუალად კუართი იგი ზეით ქსოვილ ჴელითა უბიწოთა ღ(ვ)თისმშობელისათა და მით შემოსილმან განიკითხის, განსაჯის ყოველი სოფელი".[3] სახე-სიმბოლოებით გაჯერებული ქრისტიანული სიწმიდეები, სწორედაც რომ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და ერთნაირი სახისმეტყველებით მოიაზრებიან. სვეტიცხოვლის დასავლეთ ტიმპანზე აღბეჭდილი დედა ღმრთისას სახე, სწორედაც, რომ ათონური სიწმიდის ივირონის „ბაღის" „ყვავილია" დარგული მცხეთის „სამეფო ბაღში" – სამოთხეში-სვეტიცხოველში. ინტერესს იწვევს თ. ყაუხჩიშვილის მიერ მოხსენიებული ისტორიული ხასიათის წარწერა, რომელიც არ შემონახულა. წარწერა, დიუბუას გადმოცემით, ტაძრის შესასვლელიდან მარცხენა ეკვდერში ყოფილა. ბერძნულ ტექსტში მოხსენიებულია „საღვთო და ყოვლად პატიოსანი ტაძარი ჩვენი დედოფლის, ღვთისმშობელის მარად ქალწულის მარიამისა...", მისი ქტიტორი ყოფილა პებანპატო (?), ქაიხოსრო გურიელის ასული, რომელიც იყო წინამძღვარი ამ ტაძრის (?).[4]

---

[1] საბერძნეთიდან სასულიერო პირთა ჩამოსვლამდე წმიდა ნინოს მეფე ეკითხება: „'სადა უშენო სახლი ღმერთსა?' ხოლო ნეტარმან მან ჰრქუა: 'სადაცა მეფეთა გონებაჲ მტკიცე არს'. ხოლო მეფემან ჰრქუა: 'მიყუარან მაყუალნი ეგე შენნი და მუნ მინებს გონებითა, არამედ არა ესრჱთ, არამედ არა ვჰრიდო სამოთხესა მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა მათ სულნელებასა, არამედ მას შინა აღვაშენო ტაძარი სალოცველად ჩემდა, რომელი ეგოს უკუნისამდე'". *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, გვ. 137-138.

[2] სირაძე, *„წმინდა ნინოს ცხოვრება"*, გვ. 284.

[3] კაკაბაძე, *ისტორიული საბუთები*, წ. IV, გვ. 15-17.

[4] ყაუხჩიშვილი, *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი*, გვ. 226. როგორც თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, მ. ბროსეს შენიშვნით, XVII ს-ში ორი ქაიხოსრო გურიელი გახლდათ ცნობილი (1658 და 1685 წლებში). შესაბამისად, წარწერა, XVII ს-ის II ნახევრით უნდა დათარიღდეს.

ამდენად, სრულიად ბუნებრივია, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძართან, რომელიც 12 მოციქულის სახელობის იყო და სიონადაც იწოდებოდა, დედა ღმრთისას სახელზე, არსებულიყო ნაკურთხი ეკლესია (რასაც დიუბუას მიერ დამოწმებული წარწერაც ცხადჰყოფს).[1] ლოგიკურია, რომ ღმრთისმშობლის სამყოფელი ქართველთა ყველა დროის უპირველეს სალოცავში – სვეტიცხოველში დამოუკიდებელ, საკრალურ სივრცედ იყო სახელდებული. დღეისათვის კი, მხოლოდ დასავლეთ შესასვლელს ზემოთ, ტიმპანზეა აღბეჭდილი დედა ღმრთისას დიდებული სახე, როგორც დაუჯდომელის ტექსტი უწოდებს მას, „ზეცის კიბე“ და „ხიდი წიაღ-მყუანებელი“[2] ანუ დამაკავშირებელი ქვეყნისა ცასთან, ვითარცა მორწმუნეთა მსასოებელი.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა
## Cited Sources and Literature

**ანდღულაძე (და სხვა), *სვეტიცხოვლის კომპლექსი*** – ანდღულაძე ნ., ბოხოჩაძე ა., დევდარიანი ფ., ვანიშვილი შ., ზაქარაია პ., *სვეტიცხოვლის კომპლექსი*, სიკძა, ტ. V, თბილისი, 1990, გვ. 261-269
(**Andguladze [et al.], Mtskheta** – Andghuladze N., Bokhochadze A., Devdariani F., Vanishvili Sh., Zakaraia P., *Svetitskhoveli Complex*, In: "Summa Historical and Cultural Monuments of Georgia",Vol. V, *Regions of Gori, Kaspi, Mzkheta, Kareli, Khashuri*, Editors of the 5th Vol.: V. Dolidze, S. Kintsurashvili, U. Sidamonidze, G. Zkitishvili, Tbilisi, 1990, pp. 261-269).
**ბერი ეგნატაშვილი, *ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი*** – ბერი ეგნატაშვილი, *ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი*, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 326-442
(**Beri Egnatashvili, *The New Georgian Chronicle, The first text*** – Beri Egnatashvili, *The New Georgian Chronicle, The first text*, In: "Kartlis Tskhovreba" ["The Georgian Chronicle"], Vol. II, The text is established from all major manuscripts by S. Qaukhchishvili, Tbilisi, 1959, pp. 326-442).
**ბუბულაშვილი, *საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები*** – ბუბულაშვილი ე., *საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები*, თბილისი, 2007

[1] თ. ყაუხჩიშვილი ბერძნული წარწერების კორპუსის თავდაპირველ ვერსიაში, რომელიც 1951 წელს გამოქვეყნდა, აღნიშნავდა, რომ, შესაძლოა, ეს ეკვტერი 1813 წელს ვარლამ ექსარქოსის მიერ განახლებას შეეწირა და ჩვენამდე ამ მიზეზით ვერ მოაღწია. იხ. გვ. 220-221.
[2] დაუჯდომელი ღმრთისმშობლისა, *იკოსი: დ, გიხაროდენი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა ივერიისა*, გვ. 17.

(**Bubulashvili, *Sacred Relics of the Georgian Church*** – Bubulashvili E., *Sacred Relics of the Georgian Church*, Tbilisi, 2007).
**ბურჭულაძე, *უბისის მონასტრის ხატები*** – ბურჭულაძე ნ., *უბისის მონასტრის ხატები და კედლის მხატვრობა*, თბილისი, 2006
(**Burchuladze, *Icons and Wall Paintings of Ubisi Monastery*** – Burchuladze N., *Icons and Wall Paintings of Ubisi Monastery*, Tbilisi, 2006).
**ბურჭულაძე, *მეფეთა პორტრეტები*** – ბურჭულაძე ნ., *მეფეთა პორტრეტები ალავერდის ტაძრის მოხატულობაში*, „ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები", სამეცნიერო კონფერენციის მასალები, კრ. 1, 2006, თბილისი, 2007, გვ. 53-62
(**Burchuladze, *Royal Portraits*** – Burchuladze N., *Royal Portraits in the Frescoes of Alaverdi Cathedral*, In: "Pages from the History of the Alaverdi Eparchy", Materials of the scientific conference, Vol. 1, 2006, Tbilisi, 2007, pp. 53-62).
**გაბაშვილი, *მიმოსლვა*** – გაბაშვილი ტ., *მიმოსლვა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956
(**Gabashvili, *Travel*** – Gabashvili T., *Travel*, Prepared for publication with research, lexicon, and indexes by El. Metreveli, Tbilisi, 1956).
**გვრიტიშვილი, *ფეოდალური საქართველოს*** – გვრიტიშვილი დ., *ფეოდალური საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ისტორიიდან (ქართლის სათავადოები)*, თბილისი, 1955
(**Gvritishvili, *Feudal Georgia*** – Gvritishvili D., *From the History of Social Relations in Feudal Georgia [Principalities of Kartli]*, Tbilisi, 1955).
***გიხაროდენი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა ივერიისა*** – *გიხაროდენი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა ივერიისა*, „მაყვლოვანი", 7, 2012, გვ.14-23
(**Rejoice, *Most Holy Theotokos of Iveria*** – *Rejoice, Most Holy Theotokos of Iveria*, "Makvlovani", 7, 2012, pp. 14-23).
**დავითაშვილი, *ორი აშოთან მუხრანბატონის*** – დავითაშვილი ს., *ორი აშოთან მუხრანბატონის მოღვაწეობის კვალი ათონის წმ. მთაზე*, „ქრისტიანობის კვლევები", 5, 2010, გვ. 9-16
(**Davitashvili, *Two Lord of Mukhrani*** – Davitashvili S., *Two Lord of Mukhrani with name Ashotan in the Iviron Monastery of Holy Mountain*, "Kristianobis kvlevebi" ["Christian Researches"], 5, 2010, pp. 9-16).
**დავითაშვილი, *ათონის ივერიის ღმრთისმშობლის ხატის*** – დავითაშვილი ს., *ათონის ივერიის ღმრთისმშობლის ხატის საჩრდილობელი კარავი*, სკ, 2, 2012, გვ. 313-346
(**Davitashvili, *The Shade tent*** – Davitashvili S., *The Tabernacle of the Iverian Icon of the Mother of God of Mount Athos*, "Saist'orio K'rebuli" ["Historical Collections"], 2, 2012, pp. 313-346).

**დიდებულიძე, ღმრთისმშობლის გამოსახვის ტრადიცია** – დიდებულიძე მ., *ღმრთისმშობლის გამოსახვის ტრადიცია შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში*, „ლოგოსი", 8, 2014, გვ. 224-231
(**Didebulidze, *The Tradition of Depicting the Theotokos*** – Didebulidze M., *The Tradition of Depicting the Theotokos in Medieval Georgian Art,* "Logosi", 8, 2014, pp. 224-231).
**ვაჩნაძე, ლევან კახთა მეფე** – ვაჩნაძე მ., *ლევან კახთა მეფე და პოსტბიზანტიური ქართული მონუმენტური ფერწერა XVI საუკუნის კახეთის მხატვრობის მაგალითზე*, „ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები", სამეცნიერო კონფერენციის მასალები, კრ. 1, 2006, თბილისი, 2007, გვ. 123-137
(**Vachnadze, *King Levan of Kakheti*** – Vachnadze M., *King Levan of Kakheti and Post-Byzantine Georgian Monumental Painting: The Example of 16$^{th}$-Century Kakhetian Art*, In: "Pages from the History of the Alaverdi Eparchy", Materials of the scientific conference, Vol. 1, 2006, Tbilisi, 2007, pp. 123-137).
**ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან** – ვირსალაძე თ., *ქართული მხატვრობის ისტორიიდან, ატენის სიონის VII-VIII და XI საუკუნეების მოხატულობანი*, თბილისი, 2007, გვ. 139-170
(**Virsaladze, *From the History of Georgian Painting*** – Virsaladze T., *From the History of Georgian Painting: Frescoes of Ateni Sioni from the 7$^{th}$-8$^{th}$ and 11$^{th}$ Centuries*, Tbilisi, 2007, pp. 139-170).
**კაკაბაძე, ისტორიული საბუთები** – კაკაბაძე ს., *ისტორიული საბუთები*, წგნ. IV, თბილისი, 1913
(**Kakabadze, *Historical Documents*** – Kakabadze S., *Historical Documents*, Vol. IV, Tbilisi, 1913).
**კაჭარავა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები** – კაჭარავა ე., *საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ*, წიგნში: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები", რედაქტორი: რ. მეტრეველი, თბილისი, 2000, გვ. 79-123
(**Kacharava, *Catholicos-Patriarchs of Georgia*** – Kacharava E., *Catholicos-Patriarchs of Georgia after the Dissolution of the Unified Kingdom*, In: "Catholicos-Patriarchs of Georgia", Edited by R. Metreveli, Tbilisi, 2000, pp. 79-123).
**კეკელიძე, მიტაცება ბერძენთა მიერ** – კეკელიძე კ., *მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა XVI-XVII სს-ში*, წიგნში: მისივე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, წგნ. III, თბილისი, 1971, გვ. 69-86
(**Kekelidze, *The Seizure of the Georgian Literary*** – Kekelidze K., *The Seizure of the Georgian Literary Center on Mount Athos by the Greeks and Its Condition in the 16$^{th}$-17$^{th}$ Centuries*, In: Idem, *Etudes from the History of Old Georgian Literature*, Vol. III, Tbilisi, 1971, pp. 69-86).
**მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები** – მენაბდე ლ., *ძველი ქართული მწერლობის კერები*, წგნ. II, თბილისი, 1980

(**Menabde, *Centers of Old Georgian Literature*** – Menabde L., *Centers of Old Georgian Literature*, Vol. II, Tbilisi, 1980).

***ნაცვლიშვილი, მარიამ დადიანი და არქიტექტურული პატრონაჟი*** – ნაცვლიშვილი ნ., *მარიამ დადიანი და არქიტექტურული პატრონაჟი შუა საუკუნეების საქართველოში*, სს, 24, 2021, გვ. 225-256

(**Natsvlishvili, *Mariam Dadiani and Architectural Patronage*** – Natsvlishvili N., *Mariam Dadiani and Architectural Patronage in Medieval Georgia*, "Sakartvelos Sidzveleni" ["Georgian Antiquities"], 24, 2021, pp. 225-256).

***ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო*** – ნინიძე დ., *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები)*, თბილისი, 2004

(**Ninidze, *History of the Branches*** – Ninidze D., *History of the Branches of the Bagrationi Royal House (13th-18th Centuries)*, Tbilisi, 2004).

***ოთხმეზური, სვეტიცხოვლის ეპიგრაფიკა*** – ოთხმეზური გ., *სვეტიცხოვლის ეპიგრაფიკა*, კრებული „სვეტიცხოველი", რედაქტორი: გ. შარაშიძე, თბილისი, 2010, გვ. 130-149

(**Otkhmezuri, *Epigraphy of Svetitskhoveli*** – Otkhmezuri G., *Epigraphy of Svetitskhoveli*, In: Collection of Works "Svetitskhoveli", Edited by G. Sharashidze, Tbilisi, 2010, pp. 130-149).

***პირთა ანოტირებული ლექსიკონი*** – *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*: *XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით*, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბილისი, 1991

(**Annotated Lexicon of Persons** – *Annotated Lexicon of Persons*: *According to Georgian Historical Documents of the 11th-17th Centuries*, Vol. I, Prepared for publication by D. Kldiashvili, M. Surguladze, E. Tsagareishvili, G. Jandieri, Tbilisi, 1991).

***ჟორდანია, ქრონიკები*, წგნ. II** – *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, ტფილისი, 1897

(**Zhordania, *Chronicles*, Book II** – *Chronicles and Other Materials of Georgian History and Literature*, Book II, Chronologically arranged and explained by T. Zhordania, Tbilisi, 1897).

***სიმონიშვილი, ნიკოპეის ტიპის ღმრთისმშობლის*** – სიმონიშვილი ნ., *ნიკოპეის ტიპის ღმრთისმშობლის გამოსახულებისა და ქტიტორთა ჯგუფური პორტრეტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ატენის სიონის მოხატულობაში*, კრებული: სამეცნიერო შრომების კრებული „ხელოვნებათმცოდნეობა", 5, 2003, გვ. 189-211

(**Simonishvili, *To the Interrelation of the Figure of the Nicopoio-type Virgin*** – Simonishvili N., *To the Interrelation of the Figure of the Nicopoio-type Virgin and a Group Portrait of Donors at Ateni Sioni*, Collection of academic works: "Khelovnebatmzodneoba" ["Study of Art"], 5, 2003, pp. 189-211).

**სირაძე, „წმინდა ნინოს ცხოვრება“** – სირაძე რ., „წმინდა *ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა*, სამეცნიერო კრებული: „წმინდა ნინო“, I, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი: რ. სირაძე, თბილისი, 2008, გვ. 277-311
(**Siradze, *The Life of Saint Nino*** – Siradze R., *The Life of Saint Nino and the Beginning of Georgian Hagiography*, In: Scientific Collection "Saint Nino", Vol. I, Project author and manager: R. Siradze, Tbilisi, 2008, pp. 277-311).
**სხირტლაძე, *ივერიის ღმრთისმშობლის*** – სხირტლაძე ზ., *ივერიის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედილობა*, თბილისი, 1994
(**Skhirtladze, *The Revetment of the Portaitissa Icon*** – Skhirtladze Z., *The Revetment of the Portaitissa Icon*, Tbilisi, 1994).
***ქართლის ცხოვრება*, ტ. IV** – ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973
(***Kartlis Tskhovreba*, Vol. IV** – Vakhushti Bagrationi, *Description of the Kingdom of Georgia*, In: "Kartlis Tskhovreba", Vol. IV, The text is established from all major manuscripts by S. Qaukhchishvili, Tbilisi, 1973).
**ყაუხჩიშვილი, *საქართველოს ბერძნული*** – ყაუხჩიშვილი თ., *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი*, თბილისი, 1951
(**Qaukhchishvili, *Corpus of Greek Inscriptions*** – Qaukhchishvili T., *Corpus of Greek Inscriptions of Georgia,* Tbilisi, 1951).
**ყაუხჩიშვილი, *საქართველოს ბერძნული*** – ყაუხჩიშვილი თ., *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი*, თბილისი, 2009
(**Qaukhchishvili, *Corpus of Greek Inscriptions*** – Qaukhchishvili T., *Corpus of Greek Inscriptions of Georgia*, Tbilisi, 2009).
**ჩიხლაძე, *სვეტიცხოვლის მოხატულობანი*** – ჩიხლაძე ნ., *სვეტიცხოვლის მოხატულობანი*, კრებული: „სვეტიცხოველი“, რედაქტორი: გ. შარაშიძე, თბილისი, 2010, გვ. 237-262
(**Chikhladze, *Paintings of Svetitskhoveli*** – Chikhladze N., *Paintings of Svetitskhoveli*, In: "Svetitskhoveli", Edited by G. Sharashidze, Tbilisi, 2010, pp. 237-262).
***ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი*** – *ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი*, სამეცნიერო კრებული: „წმინდა ნინო“, I, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი: რ. სირაძე, თბილისი, 2008, გვ. 9-34
(***The Life of Saint Nino*** – *The Life of Saint Nino*, In: Scientific Collection "Saint Nino", Vol. I, Project author and manager: R. Siradze, Tbilisi, 2008, pp. 9-34).
***მოქცევაჲ ქართლისაჲ*** – *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, ძეგლები, წ. I (V-X სს.), თბილისი, 1963, რეპრ. 2020, გვ. 81-163
(***The Conversion of Kartli*** – *The Conversion of Kartli*, In: "Monuments of Old Georgian Hagiographic Literature", Book I (5th-10th centuries), Ed. by Il. Abuladze, Tbilisi, 1963, Reprint 2020).

**ჭიჭინაძე, *კონსტანტინოპოლის სასწაულმოქმედი სახეები*** – ჭიჭინაძე ნ., *კონსტანტინოპოლის სასწაულმოქმედი სახეები და XI-XIV საუკუნეების ქართული ფერწერული ხატები*, ნაკვ. მეორე, სს, 6, 2005, გვ. 73-88
(**Chichinadze, *Miraculous Icons of Constantinople*** – Chichinadze N., *Miraculous Icons of Constantinople and Georgian Painted Icons of the $11^{th}$-$14^{th}$ Centuries*, "Sakartvelos Sidzveleni" ["Georgian Antiquities"], 6, 2005, pp. 73-88).
**ჭიჭინაძე, *შუა საუკუნეების*** – ჭიჭინაძე ნ., *შუა საუკუნეების ქართული ხატწერა, XI-XIV საუკუნეების ფერწერული ხატები სვანეთიდან*, თბილისი, 2011
(**Chichinadze, *Medieval*** – Chichinadze N., *Medieval Georgian Icon-Painting, $11^{th}$ - $14^{th}$ Century Painted Icons from Svaneti*, Tbilisi, 2011).
**ჭიჭინაძე, *ათონის მთის ივირონის*** – ჭიჭინაძე ნ., *ათონის მთის ივირონის ქართველთა მონასტერი და მისი ხელოვნების რეპრეზენტაცია ტიმოთე გაბაშვილის* „მიმოსლვა"*-ში*, სს, 24, 2021, გვ. 213-224
(**Chichinadze, *Georgian Monastery of Iviron at Athos*** – Chichinadze N., *Georgian Monastery of Iviron at Athos and Representations of its Arts in Timothe Gabashvili's Travels*, "Sakartvelos Sidzveleni" ["Georgian Antiquities"], 24, 2021, pp. 213-224).
**ხუსკივაძე, *გელათის მოზაიკა*** – ხუსკივაძე ლ., *გელათის მოზაიკა*, თბილისი, 2005
(**Khuskivadze, *The Mosaic of Gelati*** – Khuskivadze L., *The Mosaic of Gelati*, Tbilisi, 2005).
**Bury, *Iveron*** – Bury J. B., *Iveron and our Lady of the Gate*, "Hermathena", Vol. 10, N23, 1897, გვ. (pp.) 71-72.
**Chryssochoidis, *The Portaitissa icon*** – Chryssochoidis *K., The Portaitissa icon at the Iveron monastery and the cult of the Virgin on Mount Athos*, In: M. Vassilaki (Ed.), "Images of the Mother of God", Aldershot, 2005
https://www.myriobiblos.gr/texts/english/chryssochoidis_portaitissa.html
(გადამოწმების თარიღი: 10.03. 2025, Accessed: 10.03.2025).
**Kalopissi-Verti, *The Proskinetarion of the Templon*** – Kalopissi-Verti S., *The Proskinetarion of the Templon and Narthex: Form, Imagery, Spatial Connections, and Reception*, In: "Thresholds of the Sacred: Architectural, Art Historical, Liturgical, and Theological Perspectives on Religious Screens, East and West", Ed. by S. Gerstel, Washington, D. C. 2006, გვ. (pp.) 107-134.
**Matziris (et al.), *Gardens and trees*** – Matziris E., Bakirtzi O. Ch., Papaioannou A., *Gardens and trees in the Garden of Virgin Mary*, In: "Abstracts of Prospective speakers for the third Scientific workshop of the Mount Athos Center", Mount Athos Center, 2018, გვ. (p.) 29.
**Melvani, *The Middle Byzantine*** – Melvani N., *The Middle Byzantine Sanctuary Barriers of Mount Athos: Templon and Iconostasis*, Athen, 2015, გვ. (pp.) 305-336.
**Natsvlishvili, *Queen Consort Mariam*** – Natsvlishvili N., *Queen Consort Mariam Dadiani and Female Architectural Patronage in Late Medieval Georgia*, In: "Staging

the Ruler's Body in Medieval Cultures, A Comparative Perspective", Ed. by M. Bacci, G. Grigorian and M. Studer-Karlen, Turnhout, 2023, გვ. (pp.) 52-78.
**Paliobeis, *Impressions of pilgrims*** – Paliobeis S., *Impressions of pilgrims and travelers from the "Visitors' Book" of the Holy Supervision of the Mount Athos from 1874 to 1912*, In: "Abstracts of Prospective speakers for the third Scientific workshop of the Mount Athos Center", Mount Athos Center, 2018, გვ. (pp.) 31.
**Skhirtladze, *The Original Cladding*** – Skhirtladze Z., *The Original Cladding of the Portaitissa Icon*, OC, 89, 2005, გვ. (pp.) 148-219.
**Studer-Karlen, *Old Testament Prefigurations*** – Studer-Karlen M., *Old Testament Prefigurations of the Mother of God in Medieval Georgian Iconography*, In: "Cultural Interactions in Medieval Georgia", Ed. by M. Bacci, T. Kaffenberger, M. Studer-Karlen, Wiesbaden, 2018, გვ. (pp.) 89-114.
**Vapheiades, *The wall-paintings*** – Vapheiades K., *The wall-paintings of the Protaton Church revisited*, "Zograf", 43, 2019, გვ. (pp.) 113-128.
**Vapheiades, *A reassessment of Middle*** – Vapheiades K., *A reassessment of Middle Byzantine monumental painting on Mount Athos. Patronage, dating and style*, "Zograf", 45, 2021, გვ. (pp.) 79-102.
**Vokotopoulos, *Note sur l'icone*** – Vokotopoulos P. L., *Note sur l'icone de la Vierge Portaitissa*, "Zograf", 25, 1996, გვ. (pp.) 27-30
(**Vokotopoulos, *Note on the icone*** – Vokotopoulos P. L., *Note on the icon of the Virgin Portaitissa*, "Zograf", 25, 1996, pp. 27-30).
**Weyl Carr, *The Mother of God*** – Weyl Carr A., *The Mother of God in Public*, In: "Mother of God Representations of the Virgin in Byzantine Art", Ed. by M. Vassilaki, Milan and Athens, 2000, გვ. (pp.) 325-337.
**Бельтинг, *Образ и Культ*** – Бельтинг Х., *Образ и Культ*, Москва, 2002
(**Belting, *Image and Cult*** – Belting H., *Image and Cult*, Moscow, 2002).
**Муравьевъ, *Грузия*** – Муравьевъ А., *Грузия и Армения*, Часть I, Санкт-Петербург, 1848
(**Muravyov, *Georgia*** – Muravyov A., *Georgia and Armenia*, Part I, Saint Petersburg, 1848).
**Натроев, *Мцхетъ и его Соборъ Свети-Цховели*** – Натроев А., *Мцхетъ и его Соборъ Свети-Цховели*, *Историко-археологическое описание*, Тифлисъ, 1900
(**Natroev, *Mtskheta and It's Temple Sveti-Tskhoveli*** – Natroev A., *Mtskheta and It's Temple Sveti-Tskhoveli, Historical-archeological Description*, Tiflis, 1900).
**Натроев, *Иверский Монастырь*** – Натроев А., *Иверский Монастырь на Афоне въ Турции, на одномъ изъ выступовъ Халкидонскаго полуострова*, Тифлисъ, 1909
(**Natroev, *Iveron Monastery*** – Natroev A., *Iveron Monastery on Mount Athos in Turkey on one of the protrusions of Chalkidiki Peninsula*, Tiflis, 1909).

**Lali Osepashvili**

# The Image of the Virgin with Child in the Painting of the Western Tympanum of Svetitskhoveli and the Question of Its Donor

Summary

The aim of this paper is to study the composition of the Virgin with Child depicted on the western tympanum of Svetitskhoveli Cathedral. Not much has been written about the icon in scientific literature. Researchers associated the image with the famous Portaitissa Icon from the Iveron Monastery on Mount Athos. However, no thorough research exists. The inscription in Mkhedruli script mentions that the entire gate was renovated by Varlam Exarchos (a Georgian by origin, son of David, the Duke of Ksani), and also records the date: October 1, 1813. I believe that, at the time, the appropriate course of action would have been to renew and restore the existing painting rather than to create an entirely new composition. This view is supported by a detailed study and analysis of the iconography, artistic technique, and historical evidence – particularly the identification of the donor as a 17$^{th}$-century figure. The southern wall of the gate contains a stone commemorating Catholicos Domentius, indicating the date of his death as 1676. Paleographers and historians have identified him as Doment'ius III, Catholicos-Patriarch of Georgia (1660-1676) and a cousin of Vakhtang V, a representative of the Mukhrani branch of the Bagrationi dynasty. It appears that the painting on the western tympanum of the temple dates to this period and may, in fact, represent a copy or renewal of an earlier work. I attribute the donorship to Ashotan Mukhranbat'oni, the brother of Doment'ius III, who rose to prominence during the reign of George XI and was actively involved in activities on Mount Athos between 1672 and 1688. It is reasonable to assume that during this period, the Athonite type of the Virgin's iconography appeared in Svetitskhoveli, and its presence in the church known as Sioni is perceived as entirely natural. In 1892, the composition was repainted and restored together with the altar decoration.

In earlier periods, the image of the Virgin as the Theotokos (God-bearer) evolved into that of the Heavenly Queen, the "Supernatural Protector", becoming a visual symbol associated with victory, intercession and salvation. This is why her icon was depicted at the main entrance of the church.

At the same time, it is important to note that at the beginning of the 16$^{th}$ century, a period of renewed activity and restoration also commenced on Mount Athos. Notably, between 1500 and 1504, under the patronage of the atabeg (governor) of Samtskhe, the icon of Portaitissa – also known as the Iviron icon – was adorned with a carved cover. This iconographic type, featuring the Archangels Michael and Gabriel worshipping the Virgin and the Christ Child, became widely disseminated. Scholars

who study the relics, manuscripts, and other artifacts of Mount Athos have identified compelling parallels in this context. Athos is called “The garden of the Virgin” (this name has been established since the early 16th century), and the icons of the Virgin, in miraculous traditions and narratives, are referred to as the “flowers of this garden”. If we recall, according to „The Life of Saint Nino“ the king decided to build a temple in the royal garden, and rightly so, the “pillar of life” was erected here.

Thus, it becomes clear that the conceptual connection between the triumphal, solemn composition of the Virgin with Christ and the Archangels serves as an expression of heavenly glorification, welcoming us before we enter the temple and guiding us toward that paradise, where the “pillar of life” sprouted and was established, like a new “tree of life.” There, the robe of the Lord was buried – an object that, according to tradition, the Savior will wear at the Second Coming.



**სურ. 1 (Fig. 1)**



სურ. 2 (Fig. 2)


Тифлисъ. Худож. лит. Якшата, Аренд. С. Быховъ.
Съ фотограф. Ермакова.
Входъ въ Мцхетскій патріаршій соборъ съ западной стороны и Иверская икона Божіей Матери.

**სურ. 3 (Fig. 3)**



**სურ. 4 (Fig. 4)**



**სურ. 5 (Fig. 5)**



**სურ. 6 (Fig. 6)**



**სურ. 7 (Fig. 7)**



**სურ. 8 (Fig. 8)**




სურ. 9 (Fig. 9)




სურ. 10 (Fig. 10)



სურ. 11 (Fig. 11)

## ილუსტრაციები

სურ. 1. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, ხედი დასავლეთიდან.
სურ. 2. დედა ღმრთისა ჩვილით, სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთი კარის ტიმპანი (XVII ს.).
სურ. 3. დედა ღმრთისა ჩვილით, სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთი კარის ტიმპანი.
სურ. 4. დედა ღმრთისა ჩვილით, სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთი კარის ტიმპანი (სქემა).
სურ. 5. დომენტი III კათოლიკოსის მოსახსენიებელი, სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთი კარიბჭე (1676 წ.).
სურ. 6. ნიკოპეის ტიპის ღმრთისმშობელი, ატენის სიონის საკურთხევლის მოხატულობა (XI ს.) (სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი).
სურ. 7. ნიკოპეის ტიპის ღმრთისმშობელი, ატენის სიონის საკურთხევლის მოხატულობა, დეტალი (სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი).
სურ. 8. ნიკოპეის ტიპის ღმრთისმშობელი, ატენის სიონის საკურთხევლის მოხატულობა, ფრაგმენტი – ქრისტე (სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი).
სურ. 9. ნიკოპეის ტიპის ღმრთისმშობელი, გელათის საკურთხევლის მოზაიკა (XII ს.) (სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი).
სურ. 10. ნიკოპეის ტიპის ღმრთისმშობელი, გელათის საკურთხევლის მოზაიკა, დეტალი (სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი).
სურ. 11. ნიკოპეის ტიპის ღმრთისმშობელი, გელათის საკურთხევლის მოზაიკა, ფრაგმენტი – ქრისტე (სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი).

## Illustrations

Fig. 1. Svetitskhoveli Cathedral. View from the west side.
Fig. 2. The Virgin with Child. The west Tympanum of Svetitskhoveli Cathedral ($17^{th}$ century).
Fig. 3. The Virgin with Child. The west Tympanum of Svetitskhoveli Cathedral.
Fig. 4. The Virgin with Child. The west Tympanum of Svetitskhoveli Cathedral (Scheme).
Fig. 5. Epithapios of Doment'i III. The west Gate of Svetitskhoveli Cathedral (1676).
Fig. 6. The Mother of God type of Nicopeia, Mural of Sanctuary of At'eni Sioni ($11^{th}$ century) (The Sergo Kobuladze Monuments Photo Recording Laboratory, the G. Chubinashvili National Research Center for Georgian Art History and Heritage Preservation).
Fig. 7. The Mother of God type of Nicopeia, Mural of the Sanctuary of At'eni Sioni. Detail (The Sergo Kobuladze Monuments Photo Recording Laboratory, the G. Chubinashvili National Research Center for Georgian Art History and Heritage Preservation).
Fig. 8. The Mother of God type of Nicopeia, Mural of the Sanctuary of At'eni Sioni. Fragment – Christ (The Sergo Kobuladze Monuments Photo Recording Laboratory, the G. Chubinashvili National Research Center for Georgian Art History and Heritage Preservation).
Fig. 9. The Mother of God type of Nicopeia, Sanctuary Mosaic of Gelati ($12^{th}$ century) (The Sergo Kobuladze Monuments Photo Recording Laboratory, the G. Chubinashvili National Research Center for Georgian Art History and Heritage Preservation).
Fig. 10. The Mother of God type of Nicopeia, Sanctuary Mosaic of Gelati. Detail (The Sergo Kobuladze Monuments Photo Recording Laboratory, the G. Chubinashvili National Research Center for Georgian Art History and Heritage Preservation).
Fig. 11. The Mother of God type of Nicopeia, Sanctuary Mosaic of Gelati. Fragment – Christ (The Sergo Kobuladze Monuments Photo Recording Laboratory, the G. Chubinashvili National Research Center for Georgian Art History and Heritage Preservation).

ფოტოები 1-2 და 5 – ავტორისა.
3 – დ. ერმაკოვისა ა. ნატროშვილის წიგნიდან: *Мцхетъ и его Соборъ Свети-Цховели*, *Историко-археологическое описание*, 1900, გვ.182-ს და 183-ს შორის.
4 – სქემა ნ. ჩიხლაძის ნაშრომიდან: *სვეტიცხოვლის მოხატულობანი*, 2010, გვ. 301.

Photos 1-2 and 5 – taken by the Author.
3 – Photo by D. Ermakov, Photo was taken from the book: A. Natroev, *Mtskheta and It's Temple Sveti-Tskhoveli, Historical-archeological Description,* 1900, Between pages 182 and 183.
4 – The Scheme taken from: N. Chikhladze, *Paintings of Svetitskhoveli*, 2010, p. 301.